ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

თ. ს. ადვოკატ ო. გ. წინააღმდეგ

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კობა ბოჭორიშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ზურაბ ძლიერიშვილი – კოლეგიის წევრი

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.04.2012

საჩივრის რეგისტრაციის №046/12

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 12.12.2012

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ო. გ. მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ო. გ. მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1. 2012 წლის 25 აპრილს მოქალაქე თ. ს. საჩივრით მომართა ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ო. გ.სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის 21 მარტს მიმართა ადვოკატ ო. გ. საადვოკატო მომსახურების გაწევის მიზნით სამოქალაქო საქმეზე, კერძოდ სასამართლოში ბინის წილის გაყოფასთან დაკავშირებით.

1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, მასსა და ადვოკატ ო. გ. შორის გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების განხორციელების თაობაზე და თ. ს. ადვოკატს გადაუხადა მომსახურების საფასური 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ო. გ. მოატყუა, რომ მის საქმესთან დაკავშირებით შეიტანა სარჩელი, მაგრამ სინამდვილეში ადვოკატს არ წარუდგენია სარჩელი გორის საქალაქო სასამართლოში და არ განუხორციელებია არანაირი ქმედება მის საქმესთან დაკავშირებით.

1.5. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ო. გ. ემუქრებოდა და ცდილობდა მასზე ზეწოლა განეხორციელებინა.

1.6. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან გამოართვა საბუთები ადვოკატს, მაგრამ ადვოკატს არ დაუბრუნებია მის მიერ გადახდილი მომსახურების საფასური.

1.7. 2012 წლის 12 დეკემბრის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორმა დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები და დამატებით აღნიშნა, რომ მან შეწყვიტა ადვოკატ ოთარ გაგლოევთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, როდესაც შეიტყო, რომ ადვოკატმა არ წარადგინა სარჩელი გორის საქალაქო სასამართლოში და არ დაიცვა მისი ინტერესები. საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი ადვოკატ ო. გ. ითხოვდა 1000 (ათასი) ლარის ანაზღაურებას, როგორც მატერიალური და მორალური ზიანის და ამის გამო არ მიიღო ადვოკატის მიერ დაბრუნებული საადვოკატო მომსახურების თანხა.

2. ადვოკატ ო. გ. პოზიცია:

2.1. ადვოკატმა ო. გ. 2012 წლის 11 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება თ. ს. საჩივართან დაკავშირებით.

2.2. ადვოკატის განმარტებით, თ. ს. მიმართა საადვოკატო მომსახურების გაწევის თხოვნით სამოქალაქო საქმეზე, კერძოდ სახლის გაყოფასთან დაკავშირებით.

2.3. ადვოკატის განმარტებით, თ. ს. დადებული ხელშეკრულების თანახმად, იგი ვალდებული იყო თ. ს. შეესახლებინა სასამართლოს მიერ მიკუთვნებულ სახლის წილში ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. ადვოკატის განმარტებით, მას განცხადებით უნდა მიემართა საექსპერტო ბიუროსთის დასკვნის გამოტანის შესახებ, ხოლო თ. ს. უნდა აენაზღაურებინა საექსპერტო მომსახურების ხარჯები.

2.4. ადვოკატის განმარტებით, მას არ მიუმართავს განცხადებით საექსპერტო ბიუროსათვის, რადგან თ. ს. მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა მისი ძმა და გადაწყვიტა, რომ მორიგების გზით შეეთანხმებინა მხარეები.

2.5. ადვოკატის განმარტებით, მან აუხსნა თ. ს., რომ მის საქმეში უმჯობესი იყო მორიგება და თ. ს.ც დასთანხმდა, თუმცა მოგვიანებით ადვოკატისათვის ცნობილი გახდა, რომ თ. ს. მისი სახელით ემუქრებოდა თავის ძმას დაეთმო სახლის კეთილმოწყობილი ნაწილი.

2.6. ადვოკატის განმარტებით, თ. ს. სხვადასხვა დროს უგზავნიდა პიროვნებებს თხოვნით, რომ მისთვის სახლის უკეთესი ნაწილი მიეკუთვნებინა, ასევე თავად ხშირად აკითხავდა ოფისში და მუდმივად ამოწმებდა.

2.7. ადვოკატის განმარტებით, თ. ს. ქმედებების გამო, მან უარი უთხრა საქმის წარმოების გაგრძელებაზე და დაუბრუნა საბუთები. ადვოკატის განმარტებით, მან უთხრა თ. ს., რომ სრულად დაუბრუნდებდა მისთვის გადახდილი მომსახურების საფასურს. ადვოკატის განმარტებით, თ. ს. არ მისულა მასთან თანხის მისაღებად და იგი მზად არის დაუბრუნოს აღნიშნული თანხა.

2.8. ადვოკატის განმარტებით, იგი არის სისხლის სამართლის სპეციალისტი და მომავალ კლიენტებს აწოდებს ინფორმაციას აღნიშნულის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, კლიენტების თანხმობის შემთხვევაში, იგი ასევე მუშაობს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც. ადვოკატის განმარტებით, მან თ. ს. აუხსნა, რომ მას ჰქონდა სამოქალაქო საქმეებზე მუშაობის გამოცდილება.

2.9. 2012 წლის 12 დეკემბრის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ო. გ. განმარტა, რომ თ. ს. საქმეზე საჭიროდ არ ჩათვალა სარჩელის შეტანა სასამართლოში, რადგან სახლი გაყოფილი იყო ორ ნაწილად და ექსპერტიზის დასკვნით უნდა მომხდარიყო სახლის ნაწილის მიკუთვნება მხარეებისათვის. ადვოკატის განმარტებით, მან შეწყვიტა საჩივრის ავტორთან საადვოკატო მომსახურების გაწევა, როდესაც შეიტყო, რომ საჩივრის ავტორი მისი სახელით დაემუქრა მის ძმას სახლის უკეთესი წილის მიღების მიზნით. ადვოკატის განმარტებით, მას მიღებული აქვს კვალიფიკაცია სისხლის სამართლის სპეციალობით და აღნიშნა, რომ მან, როგორც ადვოკატმა, გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება საჩივრის ავტორთან.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2012 წლის 01 ივლისს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ო. გ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ო. გ. მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილი.

3.3. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტუდება, რომ ადვოკატმა ო. გ. თ. ს. გაუწია საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო საქმეზე მაშინ, როდესაც იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე, ადგილი ექნება ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელებას.

3.4. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა ო. გ. თ. ს. საადვოკატო მომსახურება შეწყვიტა იმ საფუძვლით, რომ თ. ს. ვერ მოახერხა მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგება, ადგილი

ექნება ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტას საამისოდ პატივსადები საფუძვლის გარეშე.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. **ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:**

4.1.1. ადვოკატი ო. გ. არის მოქმედი ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითი #/.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიანი სია.

4.1.2. თ. ს. და ადვოკატ ო. გ. შორის 2012 წლის 21 მარტს გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. თ. ს. 2012 წლის 25 აპრილის საჩივარი, ს/ფ 3
2. საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, ს/ფ 10-11

4.1.3. ადვოკატ ო. გ. არ წარუდგენია სარჩელი გორის საქალაქო სასამართლოში თ. ს. საქმესთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. თ. ს. 2012 წლის 25 აპრილის საჩივარი, ს/ფ 3
2. განხილვის კოლეგიის 2012 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმი

4.1.4. თ. ს. და ადვოკატ ო. გ. შორის საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა განხორციელდა ორივე მხარის თანხმობით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. თ. ს. 2012 წლის 25 აპრილის საჩივარი, ს/ფ 3
2. განხილვის კოლეგიის 2012 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმი

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ო. გ. მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ო. გ. დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა", რაც გამოიხატა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატის, ო. გ. მიერ თ. ს. საადვოკატო მომსახურების გაწევაში სამოქალაქო სამართლის საქმეზე.

6.2. ადვოკატის მიერ კლიენტის კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელების პრეზუმფცია ემყარება ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მიერ ადვოკატისათვის შესაბამის დარგში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებას, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

6.3. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების წესს და ადგენს, რომ ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ენიჭება იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც გავლილი აქვს ტესტირება.

6.4. ადვოკატის არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ეწევა იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც მას გავლილი არ აქვს ტესტირება და მოპოვებული არ აქვს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება.

6.5. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოყენოს სამართლებრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც კონკრეტული საქმის მომზადებისათვის გონივრულად აუცილებელია და უზრუნველყოს კლიენტის ინტერესების სათანადოდ წარმოდგენა. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიკაციის შეფასება გაწეული მომსახურების ხარისხის, დაცვის ტაქტიკისა და სტრატეგიის მიხედვით, თუმცა ეს არ გამორიცხავს ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მხრიდან ადვოკატისათვის საქმიანობის განხორციელების მოთხოვნას კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის შესაბამისად.

6.6. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე #017/11 განმარტა: ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით, რათა რისკის ქვეშ არ დააყენოს კლიენტის ინტერესების დაცვა."

6.7. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატის მიერ სამოქალაქო საქმეზე სადვოკატო მომსახურების გაწევა შესაძლებელია შეფასდეს ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელებად.

6.8. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი ო. გ. არის მოქმედი ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითი №/. შესაბამისად, ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მიერ მას მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა სისხლის სამართლის საქმეებზე. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ თ. ს. ო. გ. მიმართა, როგორც ადვოკატს და არა როგორც კონსულტანტს ან სხვა პროფესიის მქონე პირს და სთხოვა მისი ინტერესების დაცვა სამოქალაქო საქმეზე. ადვოკატმა ო. გ. თ. ს. საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა, როგორც ადვოკატმა და არა როგორც წარმომადგენელმა სამოქალაქო საქმის მოგვარების მიზნით. შესაბამისად, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ადასტურებს, რომ თ. ს. და ადვოკატ ო. გ. შორის წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

6.9. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ განხილვის ეტაპზე არ დადასტურდა ადვოკატ ო. გ. მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევა: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება საამისოდ პატივსადები საფუძვლის გარეშე." განსახილველ შემთხვევაში, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა მხარეთა შეთანხმებით და საჩივრის ავტორს არ სურდა ადვოკატ ო. გ. მიერ საადვოკატო მომსახურების განხორციელების გაგრძელება, რადგან ვერ მიიღო მისთვის სასურველი შედეგი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების მე-19 და მე-20 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ო. გ. მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლი შეინახოს დისციპლინურ საქმეში დაბეჭდილი კონვერტით. მისი გახსნა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ადვოკატ ო. გ. წინააღმდეგ დაიწყება ახალი დისციპლინური დევნა.

3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი გადაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.

4. ადვოკატ ო. გ. უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან 1 თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კობა ბოჭორიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ემზარ პაქსაძე/